



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის
სხდომის ოქმი
N38

2023 წელი; 17 ნოემბერი; 11:00 სთ;

ქ. თბილისი
თავისუფლების მოედანი N2

სხდომას ესწრებოდნენ:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრები:

ლევან ჟორჟოლიანი (თავმჯდომარე)

ზურაბ აბაშიძე

ნინო რუხაძე

ავთანდილ ცინცაძე

კახაბერ ლაბუჩიძე

არჩილ გორდულაძე

ცოტნე კობერიძე

დავით ფარცვანია

მოწვეული პირები:

- ირაკლი თავართქილაძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი;
- გიორგი კობიაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი;
- ნინო ბაგაშვილი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე;
- მაია გრძელიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსი;
- უშანგი ენუქიძე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს იურიდიული სამსახურის უფროსი;

სხდომის თავმჯდომარე:

ლევან ჟორჟოლიანი

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის
კომისიის თავმჯდომარე



დღის წესრიგი

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღვების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
3. „ქალაქ თბილისში, რ. ლაღიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში (ს/კ: 01.15.04.015.001 და 01.15.04.015.003) მდებარე კულტურულ მემკვიდრეობის ძეგლთან დაკავშირებით რიგი ღონისძიებების განხორციელების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი;
4. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ფართების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
6. „ქალაქ თბილისში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში (საკადასტრო კოდი: N01.12.15.001.006) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
7. „ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მიკრო / რაიონის კორპუს N28-ში (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.010) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
8. „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ.მ უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ტექნიკური ხარვეზის გასწორება“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;



9. „ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.18.03.062.027) 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ლია ლორთქიფანიძისთვის (პ/ნ: 01006016607) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
10. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ლაბაძისთვის (პ/ნ: 01008024363) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
11. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.16.05.032.024) 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუზრა ტატიშვილისთვის (პ/ნ: 01030001988) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
12. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.16.05.032.024) 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ტელეგრაფისთვის“ (ს/ნ: 404505406) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
13. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N128-142-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.13.08.009.074) 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ონურისთვის“ (ს/ნ: 404475616) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
14. „ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.16.01.030.001) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „დი რომასთვის“ (ს/ნ: 406216027) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
15. „ქ. თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: 01.14.11.008.037) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ლვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;
16. „ქ. თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: N01.10.17.036.047) 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი



განკარგვის წესით შპს „ფასანაური 2016“-ისთვის (ს/ნ: 405141029) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

17. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, მუხიანის IV მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.13.007.124, ფართობი - 957 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

18. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა №14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: №01.12.08.010.029, ფართობი - 1 515 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

19. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.17.07.017.046, ფართობი - 900 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

20. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვალდიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.11.12.006.279) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

21. „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13- მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი;

სხდომის თავმჯდომარემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა და დამსწრე წევრებს დასამტკიცებლად წარუდგინა იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგის პროექტი.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის მიერ ერთხმად იქნა დამტკიცებული სხდომის დღის წესრიგი.



მოისმინეს:

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის საბიუჯეტო განყოფილების უფროსმა მაია გრძელიძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით პირველ საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 19 ივლისის N2-1 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 72-ე მუხლით განსაზღვრული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში (არაუგვიანეს 15 ნოემბრისა) წარმოდგენის სამართლებრივი პროცედურის/წესის დაცვით, 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის წარმოდგენას.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს აცნობა, რომ წარმოდგენილი, მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის მოცულობა განისაზღვრება 1 700,912.4 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (1 632,132.6 ათასი ლარი) მიმართებით გაზრდილია 68,779.8 ათასი ლარით და ითვალისწინებს, შემდეგი ძირითადი პრიორიტეტების დაფინანსებას:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარი;
- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლოატაცია და ავარიული შენობების - გამაგრება/ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარი;
- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარი;
- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარი;
- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი;
- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685.2 ათასი ლარი;
- განათლება - 246 047,1 ათასი ლარი;
- კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარი;
- ქ. თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 239 059,3 ათასი ლარი.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი, დედაქალაქის მასშტაბით განსახორციელებელი ფინანსური გადაწყვეტები, რომლებიც შედარებულ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის მონაცემებთან, შემდეგი სახით:

- სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა - აღდგენა - 542 391,1 ათასი ლარით, რაც, 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (522 096,4 ათასი ლარი) შედარებით გაზრდილია 20 294,7 ათასი ლარით და აღნიშნული პრიორიტეტი მოიცავს:
- საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა, აღდგენა და მოვლა-შეკეთებას; სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მოწესრიგების ღონისძიებებს; (მათ შორის ახალი ავტობაზის მშენებლობა), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის მოძრავი შემადგენლობის მოდერნიზაციას (მათ შორის 18 მეტრიანი 160 ერთეული ავტობუსის შესაძენად გაფორმებული



ხელშეკრულების ნაწილობრივ დასაფარად, მეტროს ვაგონების (12 ვაგონი) საშუალო შეკეთება-მოდერნიზაციის სამუშაოებისთვის გაფორმებული ხელშეკრულების დასაფარად), მეტროს სადგურების რეკონსტრუქცია, მშენებლობა (ვარკეთილის მეტროს სადგურის რეაბილიტაციის დასრულება), საქალაქო სამგზავრო ტრანსპორტის სუბსიდიას (რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში მომსახურების ინტეგრირებულ სისტემაში ჩართული მიწისქვეშა (მეტრო) ტრანსპორტის, საბაგიროს, M2 და M3 კატეგორიის ავტობუსების მიერ გაწეული მომსახურების საფასური);

- ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა, ექსპლუატაცია და ავარიული შენობების გამაგრება - ჩანაცვლება - 223 111,1 ათასი ლარით, შემდეგ პროგრამებზე/ქვეპროგრამებზე:

- საინჟინრო ნაგებობების და ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა და აღდგენა-რეკონსტრუქცია - (მათ შორის გრძელდება უნივერსიტეტის ქუჩისა და ბაგების დამაკავშირებელი ხიდური გადასასვლელის მოწყობის სამუშაოები, საყრდენი კედლების მშენებლობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე და საკანალიზაციო ქსელების მოწყობა-რეკონსტრუქცია, სანიაღვრე კოლექტორების მშენებლობა რეაბილიტაცია), ბინათმშენებლობა და ავარიული შენობების გამაგრება - 7 000,0 ათასი ლარი (დაახლოებით 37- მდე შენობა-ნაგებობის გამაგრება), გარე განათების ქსელის ექსპლუატაცია და რეაბილიტაცია - 33 000,0 ათასი ლარი, კეთილმოწყობის ღონისძიებები - 65 343,7 ათასი ლარი (კეთილმოწყობის ღონისძიებები რაიონებში გათვალისწინებულია 58 188,2 ათასი ლარი), ავარიული სახლების ჩანაცვლება - 20 000,0 ათასი ლარი (გრძელდება 3 და დაიწყება 16 ახალი კორპუსის მშენებლობა, ჩანაცვლების პროგრამის ფარგლებში სამგორის რაიონში, ბინის ქირით უზრუნველყოფილია 95 ოჯახი - 1 072,0 ათასი ლარი, ხოლო ავარიული სახლების ჩანაცვლების ფარგლებში გადასაცემი უძრავი ქონების რემონტისათვის გათვალისწინებულია 2 200,0 ათასი ლარი), ქალაქის განვითარების ხელშეწყობის - 43 638,0 ათასი ლარი (პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება უკვე დაწყებული პროექტების დაფინანსება, როგორცაა: ისტორიულ-კულტურული ძეგლების, სადარბაზოების, მუზეუმების და სხვა შენობების რეაბილიტაცია, საცხოვრებლად ვარგისი ქალაქების საინვესტიციო პროგრამის (ADB) ფარგლებში დამატებული ღირებულების გადასახდელად გათვალისწინებულია 2,000.0 ათასი ლარი);

- ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 213 611,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (211 901,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 1 709,4 ათასი ლარით;

- ეკონომიკის განვითარების ხელშეწყობა - 1 879,5 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში გაგრძელდება შემდეგი პროგრამების დაფინანსება: ბიზნესის სტიმულირება - 383,5 ათასი ლარი, თბილისის განვითარების კვლევები, სტრატეგიები და პროექტები - 326,0 ათასი ლარი, თბილისი - საერთაშორისო ქსელებსა და პროექტებში - 130,0 ათასი ლარი, მერიის სისტემის საქმიანობის ხელშეწყობა - 370,0 ათასი ლარი, თბილისში შემომყვანი ტურიზმის



მხარდაჭერა - 480,0 ათასი ლარი, ქალაქის საინვესტიციო პოტენციალის რეალიზაცია 190,0 ათასი ლარი;

- ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 38 296,3 ათასი ლარი;

- ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა - 154 685,2 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (144 160,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 10 524,5 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში:

- ჯანმრთელობის დაცვის მიმართულებით განსაზღვრულია 32 783,0 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში, მათ შორის, გაგრძელდება: გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა ეპიდემიოლოგიური კონტროლის, აუტიზმის სპექტრის დარღვევის მქონე ბავშვთა აბილიტაცია, ფსიქიკური ჯანმრთელობის სათემო მომსახურება, გაფანტული სკლეროზის და ძუძუს კიბოს სამკურნალო მედიკამენტების, სახსრების ენდოპროტეზირების, დაავადებათა სკრინინგის და ტრანსპლანტაციის დაფინანსება;

- სოციალური დაცვის მიმართულებით, ჯამში, გათვალისწინებულია 121 902,2 ათასი ლარი, რომლის ფარგლებში გაგრძელდება შემდეგი ქვეპროგრამების დაფინანსება: კომუნალური სუბსიდირება, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახებისათვის 18 წლამდე ასაკის თითოეულ ბავშვზე ყოველთვიური დახმარება, სოციალურად დაუცველი საპენსიო ასაკის პირებისათვის მედიკამენტების დაფინანსება, სოციალურად დაუცველ ოჯახებში ყველა ახალშობილზე ერთჯერადი დახმარება, შინმოვლის დანადაფინანსება, მცირე საოჯახო ტიპის სახლებიდან გასული, სრულწლოვანი პირების დამოუკიდებელი ცხოვრების ხელშეწყობა, უფასო სწავლება მოსწავლე ახალგაზრდობის სახლებში, სასახლეში, ხელოვნების სკოლებში, სპორტულ სკოლებში და საცურაო აუზებში, თბილისის მუნიციპალური თავშესაფრის მოვლა-პატრონობა, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საზოგადოებაში ინტეგრაციის ხელშეწყობა, საკურორტო მომსახურება და დახმარება, უფასო სასადილოებით მომსახურება რაიონებში, დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები რაიონებში და სხვა;

- განათლება დაიგეგმა - 246 047,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (225 917,8 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 20 129,3 ათასი ლარით და აღნიშნული პრიორიტეტის ფარგლებში მნიშვნელოვანი წილი უჭირავს სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების ხელშეწყობას 205 358,8 ათასი ლარის ოდენობით (გრძელდება დაწყებული პროექტების დაფინანსება, მათ შორის: ავარიული საბავშვო ბაგა-ბაღების ადგილას ახლის მშენებლობა და ავარიული ბაღების გამაგრება/რეაბილიტაცია: დასრულდება 2 ბაღის მშენებლობა და 1 ბაღის კაპიტალური რეაბილიტაცია), გაგრძელდება არსებული პროგრამების/ქვეპროგრამების დაფინანსება;



▪ კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობა - 35 534,7 ათასი ლარით. გაგრძელდება კულტურის ობიექტების (თეატრები, მუზეუმი, გალერეა, საბალეტო დასი, ბიგ-ბენდი, პანთეონი) დაფინანსება, სახელოვნებო განათლების ხელშეწყობა, წარმატებული სპორტსმენი ბავშვების და მწვრთნელთა მხარდაჭერა, პარასპორტის განვითარების ხელშეწყობა, სპორტული მოედნების მშენებლობა, რეკონსტრუქცია, სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესების ღონისძიებები (დასრულდება მულტიფუნქციური სპორტული ცენტრის მშენებლობა და 2 ცენტრის აღჭურვა) და სხვა;

▪ საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება - 6 297,0 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში დაფინანსდება პროგრამები: თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების დაცვის უზრუნველყოფა - 817,1 ათასი ლარით და ცხოველთა მონიტორინგი - 5 479,9 ათასი ლარით;

▪ ქ.თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 239 059,3 ათასი ლარით. პრიორიტეტის ფარგლებში განსაზღვრულია ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი - 4 000,0 ათასი ლარის ოდენობით და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდი - 2 000,0 ათასი ლარის ოდენობით. ასევე, გათვალისწინებულია წინა წლებში აღებული სესხების დაფარვა, მათ შორის მდგრადი ურბანული მობილობა - გონიერი სატრანსპორტო სისტემა (KfW) - 2 940,0 ათასი ლარი, თბილისის მეტროს სადგურების სესხის მომსახურება - 7 590,0 ათასი ლარი, თბილისის მუნიციპალური მომსახურების პროექტი - 4 917,0 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება - 12 895,7 ათასი ლარი, თბილისის მყარი ნარჩენების პროექტის სესხის მომსახურება 12 000,8 ათასი ლარი, თბილისის ავტობუსების პროექტის სესხის მომსახურება II ფაზა - 29 821,2 ათასი ლარი, თბილისის მეტროს პროექტის სესხის მომსახურება - 27 504,3 ათასი ლარი.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, გარდა ამისა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტს ახლავს ინფორმაციული ხასიათის დანართები, რომლებიც ასახავს, დეტალურ ინფორმაციას განსახორციელებელი პროგრამებისა და ქვეპროგრამების შესახებ, კაპიტალური პროექტების შესახებ, ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამების/ქვეპროგრამების განმახორციელებელი ორგანიზაციების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული სსიპ-ებისა და ა(ა)იპ-ების ბიუჯეტების შესახებ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის 9 თვის შესრულების მიმოხილვის შესახებ ინფორმაციას, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტში გამოყენებულია თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების მექანიზმი, რაც გულისხმობს საბიუჯეტო პროცესში გენდერული ასპექტების ჩართვას.

მომხსენების მიწერულს, მაია გრძელიძემ მიუთითა, რომ წარმოდგენილი დადგენილების პროექტი ასახავს ბავშვთა უფლებების შესახებ არსებული პოლიტიკის ფარგლებში



განსახორციელებელი ღონისძიებების დასაფინანსებლად საჭირო რესურსებს, შესაბამის პასუხისმგებელ საბიუჯეტო ორგანიზაციის პროგრამულ კოდში, ამასთან, მიუთითა, რომ დადგენილების პროექტის მიღება გამოიწვევს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის №19-118 დადგენილების ძალადაკარგულად გამოცხადებას.

აზრი გამოთქვს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა წარმოდგენილი, დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით დაგეგმილ ფინანსურ გადაწყვეტებთან მიმართ არსებული რეკომენდაციების თაობაზე.

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, გაიზარდოს ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების პროგრამის მიმართულებით დაფინანსება, რითიც, მაქსიმალურად, უზრუნველყოფილი იქნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების წევრთა საერთო ქონების ექსპლუატაციისა და განვითარებისათვის აუცილებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების დაფინანსება, მათ შორის: მოხდება ინფრასტრუქტურის ადაპტირება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მოთხოვნებთან/პირობებთან, ამასთან, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება მოსახლეობის საცხოვრებელი გარემო.

კომისიის თავმჯდომარემ ლევან ჟორჟოლიანმა ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის მუნიციპალური ორგანოების სისტემაში დასაქმებული საჯარო მოსამსახურეების თანამდებობრივი სარგოების განსაზღვრული ოდენობების თაობაზე და მიზანშეწონილად მიიჩნია, კიდევ ერთხელ იქნას გადახედილი ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების, მათ შორის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ინსპექციისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის სახელფასო პოლიტიკა, ვინაიდან, ის საჯარო მოხელეები, რომლებიც ფაქტობრივად აღასრულებენ/ახორციელებენ უმნიშვნელოვანეს ღონისძიებებს მუნიციპალური სერვისების/პროგრამების/ქვეპროგრამების მიმართულებით, ვერ სარგებლობენ „საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული თანაბარი სამუშაოს შესრულებისთვის თანაბარი ანაზღაურების მიღების უფლებით, რადგან, შესასრულებელი/შესრულებული სამუშაოს მოცულობისა და პასუხისმგებლობის საზღვრები სცდება, არ არის პროპორციულ თანხვედრაში, მათთვის განსაზღვრულ, თანამდებობრივი სარგოების ოდენობებთან. აქვე აღინიშნა სხვა ამის საჭიროება დგას სხვა საქალაქო სამსახურებში, ხოლო ვინაიდან დარგობრივად კომისია ახორციელებს ზემოხსენებული ორი სამსახურის ზედამხედველობას დასკვნაში მიეთითა შესაბამისად.

კომისიის თავმჯდომარის მითითებით, ზემოაღნიშნული გამოწვევა, აღნიშნული სამსახურების საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობის ნაწილში განსაკუთრებით ცხადი, არის ასევე, იმ გარემოების გამო, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულის თანამშრომლებს გააჩნიათ დედაქალაქის ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით დაკისრებული უმნიშვნელოვანესი ვალდებულებანი, ხოლო, მათთვის განსაზღვრული თანამდებობრივი სარგოები არ არის შესაბამისობაში



შესრულებული/შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასთან, რაც განამაპირობებელი მიზეზია კვალიფიციური კადრების სამსახურებიდან გადინებისა, ამასთან, აღნიშნა, ის გარემოებაც, რომ მითითებულ სტრუქტურულ ერთეულებში საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურება კონკურენციას ვერ უწევს კერძო სექტორში არსებულ ხელფასებს, რაც კიდევ ერთი ხელშემწყობი ფაქტორია, სამსახურებში კვალიფიციური კადრების ნაკლებობისა.

კომისიის თავმჯდომარემ მიზანშეწონილად მიიჩნია, გადაიხედოს მათ, შორის ზემოაღნიშნული საჯარო მოხელეთა თანამდებობრივი სარგოების ოდენობები, შესასრულებელი სამუშაოს მოცულობასთან, პროპორციულ თანხვედრაში მოყვანის მიზნით, ასევე, ამ მიმართულებით, გახდეს სახელფასო პოლიტიკა უფრო მეტად მოქნილი და გააჩნდეს, რანგობრივად დაკისრებული მოვალეობების შესაბამისი, სახელფასო ანაზღაურების მზარდი ხასიათი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ კვალიფიციური კადრების შენარჩუნების/მოზიდვის მიზნით, მოხდეს მათ, შორის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის და მუნიციპალური ინსპექციის სახელფასო ფონდის გაზრდა და შესაბამისად, აღნიშნულ სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ, შტატით გათვალისწინებულ მოხელეთათვის მოხდეს თანამდებობრივი სარგოების ზრდა.

კომისიის თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა რეკომენდაციებზე გენდერული თანასწორობის პოლიტიკის უზრუნველყოფის მიმართულებით, კერძოდ, ზაზი გაუსვა, იმ გარემოებას, რომ მიზანშეწონილია, გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისთვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებულ პროგრამების/ქვეპროგრამების შემუშავების პროცესში თითოეულ პროგრამაზე/ქვეპროგრამაზე გაკეთდეს გენდერული ანალიზი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურული ერთეულების მიერ უზრუნველყოფილ იქნას პროგრამების მიზნობრივი ჯგუფების უკეთ იდენტიფიცირება და შესაბამისი გენდერული საჭიროებების პროგრამებში ასახვა, ამასთან, კომისიის თავმჯდომარემ გასცა რეკომენდაცია, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის შესაბამისი საქალაქო სამსახურების ჩართულობით, წარმოდგენილ 2024 წლის ბიუჯეტის პროექტთან შესაბამისობაში მოვიდეს ბიუჯეტის პროგრამების/ქვეპროგრამების განსაზღვრულ დამტკიცებული წესები და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დასამტკიცებლად წარმოდგინოს - „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შემდგომ.

კომისიის თავმჯდომარემ, მომხსენებელთან კითხვა-პასუხის რეჟიმში, ყურადღება გაამახვილა დედაქალაქის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტით წარმოდგენილი იმ პროგრამებისთვის/ქვეპროგრამებისთვის განსაზღვრული ასიგნებების ოდენობის თაობაზე, რომლებიც შემცირებული სახით არის წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტის პირველად, დასამტკიცებელ ბიუჯეტთან შედარებით, ასევე, არსებულ სხვაობაზე, 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცებულ ვერსიასთან შედარებით.



ლევან ჟორჟოლიანმა დაინტერესება გამოხატა გარემოს დაცვის პოლიტიკის მიმართულებით დაგეგმილი ასიგნებების ოდენობის თაობაზე, რაზეც მომხსენებელმა განმარტა, რომ გარემოს დაცვის მიმართულებით, წარმოდგენილია გაზრდილი ოდენობის ასიგნებები, კერძოდ, ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - განისაზღვრება 213 611,1 ათასი ლარით, რაც 2023 წლის დამტკიცებულ ბიუჯეტთან (211 901,7 ათასი ლარი) მიმართებაში გაზრდილია 1 709,4 ათასი ლარით და პრიორიტეტის ფარგლებში, მათ, შორის გამწვანების ღონისძიებებისათვის გათვალისწინებულია 65 901,3 ათასი ლარი (მათ შორის ინფრასტრუქტურის რეაბილიტაცია/მწვანე კუნძულების მოწყობა, გამწვანებული ტერიტორიების მოვლა-პატრონობა, სარწყავი სისტემების მოწყობა, ფერდობებზე ტყის გაშენება და სხვა).

კომისიის თავმჯდომარემ ასევე დააანონსა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში, მიმდინარე წლის მიწულს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური ინსპექციის ხელმძღვანელების მიერ, ანგარიშის წარმოდგენის თაობაზე საკითხი, რაც მისივე მითითებით, კიდევ ერთხელ ცხადყოფს, სტრუქტურულ ერთეულებში საკადრო პოლიტიკის მიმართულებით არსებულ გამოწვევებს/საჭიროებებს.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავეს ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ - ცოტნე კობერიძემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ.

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად აღნიშნეს, რომ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი ძირითადად იურიდიულად გამართულია და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან, შესაბამისად, ერთხმად იქნა მიზანშეწონილად მიჩნეული, პროექტთან დაკავშირებით მომზადებული დასკვნის პროექტი, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტით განსაზღვრული, მომავალი წლის ბიუჯეტის განხილვის მიმართულებით დადგენილი სამართლებრივი პროცედურის დაცვის მიზნით, წარედგინოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიას.

მოისმინეს:

2. სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსმა გიორგი კობიაშვილმა, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-2 საკითხად განსაზღვრული დადგენილების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ცხოველების (ძაღლების, კატების) მოვლა-პატრონობის და მათი პოპულაციების მართვის



წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანას, განპირობებულს, შემდეგ სამართლებრივ წინაპირობათა გამო:

- 2023 წლის 28 ივნისის N3303, საქართველოს კანონით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციაში შეტანილ იქნა ცვლილება და სანქცია ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით: „ძაღლის საბლის ან ალიკაპის გარეშე ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა)-გამოიწვევს ძაღლის მფლობელის დაჯარიმებას 150 ლარის ოდენობით“, შესაბამისად, მითითებულიდან გამომდინარე, მომხსენებლის განმარტებით, საჭირო გახდა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს, ზემოაღნიშნულ, 2015 წლის 06 აპრილის N7-28 დადგენილებაში ცვლილების შეტანა, დადგენილების, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის ჩანაწერთან, შესაბამისობაში მოყვანის მიზნით.

გიორგი კობიაშვილმა აღნიშნა, რომ პროექტი ითვალისწინებს, დადგენილების მოქმედი რედაქციის სათანადო პუნქტის ცვლილებას, რაც ასახავს, ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 103-ე მუხლის მე-2 ნაწილის დისპოზიციას, აგრეთვე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის საფუძველზე („შინაური ცხოველების ყოლის წესების დადგენა და უპატრონო ცხოველებთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტა“) აკონკრეტებს - საზოგადოებრივ ტრანსპორტში ძაღლის ყოლის წესს, შემდეგი სახით:

- „ძაღლის ყოლა ღია სივრცეში, მათ შორის, ბულვარში, პარკში ან სკვერში ნებადართულია საბლით ან ალიკაპით (გარდა სპეციალურად გამოყოფილი ადგილებისა)“. ქალაქ თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში ძაღლის საზოგადოებრივი ტრანსპორტით გადაყვანა ნებადართულია მხოლოდ საბლით და ალიკაპით, ან სპეციალური კონტეინერით.“

მომხსენებლის მითითებით, პროექტი ამოქმედდება გამოქვეყნებისთანავე, მისი მიღება არ გამოიწვევს ბიუჯეტიდან დამატებითი სახსრების გამოყოფას და ამოქმედება არ მოახდენს ზეგავლენას ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობასა და გენდერული თანასწორობის მდგომარეობაზე.

გადაწყვეტის:

წარმოდგენილი დადგენილების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ფრაქციის „ლელო - პარტნიორობა თბილისისთვის“ თავმჯდომარის მოადგილემ - ცოტნე კობერიძემ, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



3. ა(ა)იპ „თბილისის განვითარების ფონდი“-ს (შემდეგში - თბილისის განვითარების ფონდი) იურიდიული სამსახურის უფროსმა უშანგი ენუქიძემ და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნეს, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-3 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- თბილისის განვითარების ფონდის მიერ, ქალაქ თბილისში, რ. ლალიძის ქუჩა N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქუჩა N46-ში მდებარე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლზე განსახორციელებელი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების შედეგად შესაქმნელ ნამეტ ფართებზე, საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებების, ამავე მისამართებზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრირებული მესაკუთრეების სასარგებლოდ დათმობის საკითხის ;

- თბილისის განვითარების ფონდის მიერ, განსახორციელებელი ქალაქმშენებლობითი ღონისძიებების შედეგად, შესაქმნელი ნამეტი ფართების, რომლებიც არ არის გათვალისწინებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების სათანადო დანართით, ქალაქ თბილისში, რ. ლალიძის ქუჩა N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქუჩა N46-ში შექმნილი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების - „კადეტისა“ და „რევაზ ლალიძის 2“-ის წევრებზე, რომელთა სასარგებლოდაც ნამეტი ფართების დათმობა არ არის გათვალისწინებული აღნიშნული განკარგულების დანართით, დათმობის საკითხზე თანხმობის გაცემას.

წარმოდგენილ ღონისძიებასთან დაკავშირებული/წინარე ფაქტობრივი და სამართლებრივი გარემოებანი, კომისიის წევრებს გააცნო, უშანგი ენუქიძემ და აღნიშნა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების დანართი მოიცავს, თბილისის განვითარების ფონდსა და ბენეფიციარებს შორის გაფორმებული ხელშეკრულებების ნომრებს, ასევე, აღნიშნული მესაკუთრეებისთვის (არსებობის შემთხვევაში ანტრესოლის გათვალისწინებით) გადასაცემი ფართების ოდენობებს (რაოდენობრივად - 73 (სამოცდაცამეტი) ერთეული), ამასთან, გააღწერა, საკითხთან დაკავშირებით, თბილისის განვითარების ფონდის შემდეგი პოზიცია, რაც წერილობით ეცნობა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს:

- „თბილისის განვითარების ფონდი აწარმოებს, ქალაქ თბილისში, რ. ლალიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში მდებარე კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლის (კადეტთა კორპუსი) სარეაბილიტაციო სამუშაოებს, რის შედეგადაც, კადეტთა კორპუსის საერთო ფართობი იზრდება იმგვარად, რომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია რეაბილიტაციის განმახორციელებელი სუბიექტის საკუთრების უფლებას დაქვემდებარებული ფართების წარმოშობა, რამდენადაც, ქალაქმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირის მიერ მიღებული ქონება, საბოლოო ჯამში, დამფუძნებელს - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა შემდგომი განკარგვისთვის. მოსახლეობის მოლოდინების, მათ მიერ პროექტში ცვლილების შეტანისთვის გაწეული ძალისხმევის და დედაქალაქისთვის ისტორიული მნიშვნელობის შენობის აღდგენის ინტერესის გათვალისწინებით, ემსახურება რა სარეაბილიტაციო პროექტი სოციალური,



კულტურული, ეკონომიკური და ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებით განვითარების შესაძლებლობის შექმნას, შემდგომი მსვლელობისთვის, საკითხი წარმოგიდგენილია შესათანხმებლად.“

მომხსენებელმა ყურადღება გაამახვილა შემდეგ სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებზე და აღნიშნა, რომ თბილისის განვითარების ფონდის მიერ, ზემოაღნიშნული, კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლთან დაკავშირებით, სამშენებლო-სარეაბილიტაციო სამუშაოების შესყიდვის მიზნით, 2020 წლის 25 მარტს გამოაცხადებულ ელექტრონული ტენდერში გაიმარჯვა შპს „იმპოსტმა“, რომელთანაც გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, თუმცა, კადეტთა კორპუსის ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრებმა არ მისცეს სამშენებლო კომპანიას სამუშაოების წარმოების საშუალება. ძეგლის კულტურული ღირებულების და მისი რეაბილიტაციის აუცილებლობის გათვალისწინებით, შემსყიდველი ორგანიზაცია ხელახლა ჩაერთო მოსახლეობასთან მრავალმხრივი მოლაპარაკებების პროცესში, ხოლო, შედეგად, მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის მიერ მოთხოვნილ იქნა საკუთარი ძალებით კორექტირებული პროექტის მიხედვით მშენებლობის განხორციელება და რედაქტირებული პროექტით თითქმის სრულყოფილად შენარჩუნდა შენობის მთავარი ფასადის ავთენტური იერსახე, ხოლო, შიდა ეზოს ფასადზე მოწყობილი უსახური მიშენებებით წარმოქმნილი ფართების შენარჩუნების ინტერესიდან გამომდინარე, გადაგეგმარდა სართულები, შეიცვალა ბინების ლოკაციები და მოსახლეობამ გადაინაწილა საერთო მოხმარების ფართებიც.

მომხსენებელმა განაგრძო თხრობა და აღნიშნა, რომ შენობის მწვავე ავარიული მდგომარეობიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება მისი დიდი ნაწილის დამოღისა და ახალი კონსტრუქციის მოწყობის შესახებ, ხოლო, ახალ აშენებულ ნაწილში, სადაც უნდა დანერგულიყო სქელი მზიდი კედლები, საპროექტო დოკუმენტაციამ გაითვალისწინა რკინა-ბეტონის კოლონების და თხელი გამყოფი ტიხრების მოწყობა, რაც გამოიწვევს პრაქტიკულად ყველა სართულზე სარეაბილიტაციო პროექტის ბენეფიციარებისთვის განკუთვნილი ფართობების ზრდას, ამასთან, მითითებული ცვლილებების გარეშე სახელმწიფო შესყიდვის პროცედურით შერჩეულ კომპანიას არ მიეცა სამშენებლო სამუშაოების წარმოების რეალური შესაძლებლობა, მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სარეაბილიტაციო სამუშაოების დაწყებამდე, კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის საერთო ფართობი (სარდაფის ჩათვლით) შენობის გარე კონტურზე გაანგარიშებით დაახლოებით 11 937 კვ.მ.-ს შეადგენდა, ხოლო რეაბილიტაციის შედეგად შენობის საერთო ფართობი იზრდება 12 590 კვ.მ.-მდე.

უშანგი ენუქიძის მიერ, ყოველივე მითითებულის გაჟღერების შემდგომ, მომხსენებელმა ერთსულოვნად დააფიქსირეს, თბილისის განვითარების ფონდისა და სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს პოზიციები და აღნიშნეს, შემდეგი:

- „მიუხედავად იმისა, რომ კადეტთა კორპუსის საერთო ფართობი იზრდება იმგვარად, რომ შესაბამისი გადაწყვეტილების მიღების შემთხვევაში, შესაძლებელია ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლებას დაქვემდებარებული ფართების წარმოშობა, რამდენადაც, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განმახორციელებელი პირის მიერ მიღებული ქონება, საბოლოო ჯამში, თბილისის განვითარების ფონდის დამფუძნებელს -



ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს გადაეცემა შემდგომი განკარგვისთვის, მოსახლეობის მოლოდინების, მათ მიერ პროექტში ცვლილების შეტანისთვის გაწეული ძალისხმევის და დედაქალაქისთვის ისტორიული მნიშვნელობის შენობის აღდგენის ინტერესის შეპირისპირების საფუძველზე, ემსახურება რა სარეაბილიტაციო პროექტი სოციალური, კულტურული, ეკონომიკური და ჰიგიენური მდგომარეობის გაუმჯობესებით განვითარების შესაძლებლობის შექმნას, „საქართველოს სივრცის დაგეგმარების, არქიტექტურული და სამშენებლო საქმიანობის კოდექსის“ 55-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული თბილისის განვითარების ფონდმა დათმოს საკუთრების უფლების წარმოშობასთან დაკავშირებული მოთხოვნის უფლებები, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განხორციელების შედეგად შესაქმნელ ნამეტ ფართობებზე საჯარო რეესტრში რეგისტრირებული მესაკუთრეების სასარგებლოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სათანადო განკარგულების დანართის შესაბამისად, ხოლო, სხვა ყველა ნამეტი ფართი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების იმ წევრებზე, რომელთათვისაც ნამეტი ფართობის დათმობა არ არის პირდაპირ გათვალისწინებული აღნიშნული განკარგულების დანართით და საბოლოო ჯამში კი, ქალაქთმშენებლობითი ღონისძიების განხორციელების შედეგად, ქალაქ თბილისში, რ. ლადიძის ქ. N2-სა და რ. თაბუკაშვილის ქ. N46-ში შექმნილი ყველა ფართი უნდა განაწილდეს საჯარო რეესტრში რეგისტრირებულ მესაკუთრეებზე“.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სამართლებრივი საფუძვლების სრულყოფის მიზნით, პროექტის პრეამბულაში „საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ სათანადო ნორმისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის იმ განკარგულების მითითების საკითხზე, რითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საკითხის მომზადება და დედაქალაქის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, თავმჯდომარემ ასევე ისაუბრა, პროექტის პირველი პუნქტის ქვეპუნქტების სტილისტურ-ტექნიკური სახით, გამართულობის საკითხებზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენების მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

4. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-4 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის 3² მუხლით დარეგულირებული - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ ავარიულ სახლში განთავსებული საცხოვრებელი ფართის მესაკუთრისთვის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით



პრივატიზების სპეციალური წესის საფუძველზე, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, 4 (ოთხი) საცხოვრებელი ბინის (თეთრი კარკასის მდგომარეობით), მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა N11-ში და ლევან მაჭავარიანის ქუჩა N7ბ-ში ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მესამე მასივის, მე-4 კვარტალი, კორპუსი N1-ში, ავარიული მდგომარეობის თვალსაზრისით, დაზიანების მე-4 ხარისხის მქონე შენობაში არსებული ფართების მესაკუთრეებისათვის: სერგო ანტონიანი (გადაეცემა 50 კვ.მ); გიგა ნავრუშოვი (გადაეცემა 35 კვ.მ); თეა ბზიკაძე (გადაეცემა 75 კვ.მ) და ამირან ჯიბლაძე (გადაეცემა 50 კვ.მ) (შემდეგში - მესაკუთრეები), პირდაპირი განკარგვის წესი, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, შემდეგი სახელშეკრულებო პირობებით:

- მესაკუთრეების სასარგებლოდ განხორციელდება გადასაცემი ფართების რემონტისათვის ხარჯების ანაზღაურება - 1 კვ.მ.-ზე 286 ლარის ოდენობით, ამ მიზნით, მუნიციპალიტეტის 2023-2023 წლის ბიუჯეტიდან გამოყოფილი საბიუჯეტო სახსრებიდან, სათანადო ხელშეკრულების ხელმოწერისა და აღნიშნული პირების საკუთრებაში არსებული, ავარიული მდგომარეობის მქონე 4 (ოთხი) ფართის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სახელზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ, არაუგვიანეს - 3 (სამი) თვის ვადაში, მესაკუთრეების მიერ მითითებულ საბანკო ანგარიშზე ჩარიცხვას, სათანადო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უსასყიდლოდ, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, გადაეცეს არაუგვიანეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემ ფართზე ქონების შემძენის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიზნული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა;

- მესაკუთრეებმა შესაბამისი უძრავი ქონება ფაქტობრივად უნდა გამოათავისუფლოს და ფაქტობრივად გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ამავე ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ;

- ავარიული ფართების მესაკუთრეებმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საკუთრებაში გადაცემით, მათ უარი უნდა განაცხადონ ამ ქონებასთან ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან გამომდინარე სხვა ნებისმიერ შესაძლოა მოთხოვნაზე, მათ შორის, სხვა უძრავი ქონების ან/და სხვა მატერიალური სიკეთის მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, განაცხადონ უარი - აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერ საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

მომხსენებელმა ისაუბრა ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალურის ლაბორატორიის“ 2019 წლის 13 მარტის N01/482 დასკვნაზე, რის მიხედვითაც, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის მე-მასივი, მე-4 კვარტალი, კორპუსი N1-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების მე-4 ხარისხს, ობიექტის, რთული ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯერ კიდევ 1990 წლის დასაწყისში, მწვავე ავარიულობის



გამო, განხორციელდა შენობის მე-2 და მე-3 სადარბაზოების ოთხივე სართულების დემონტაჟი და დასკვნაში მითითებულ იქნა რეკომენდაცია - შენობის დემონტაჟის შესახებ, უსაფრთხოების ნორმათა მოთხოვნების სრული დაცვის უზრუნველყოფით, ამასთან, გააუღერა სამგორის რაიონის გამგეობის მიერ მოწოდებული ინფორმაცია, აღნიშნული ავარიული შენობიდან, ადგილობრივი გამგეობის ორგანიზებით მოსახლეობის არაგეგმიური გამოსახლების (ევაკუაცია) ევაკუაციისა და მათთვის, ქირის საკომპენსაციო თანხის დაფარვასთან დაკავშირებით, ასევე, დაამატა, რომ არსებული საცხოვრებელი კორპუსი 2021 წელს მძიმე ტექნიკური მდგომარეობიდან გამომდინარე დაინგრა.

ირაკლი თავართქილაძემ დაამატა, რომ სამგორის რაიონის გამგეობამ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილი წერილით, პროექტით წარმოდგენილ მესაკუთრეებს გაუწია რეკომენდაცია, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, მათთვის გადასაცემი უძრავი ქონების სარემონტო სამუშაოების ხარჯების, კანონმდებლობით დადგენილი წესით ასანაზღაურებლად - 1 კვ.მ-ზე 286 ლარის ოდენობით.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ გააუღერა შენიშვნები - პროექტის სათაურის, სამართლებრივი საფუძვლებისა და პროექტის პირველი პუნქტის მიმართ, სამართლებრივი ნორმების/აქტების მითითების მიზანშეწონილობასთან დაკავშირებით, ასევე, შენიშვნები, ხელშეკრულების პროექტის მიმართ, იმ მიზნით, რომ აღნიშნული შეესაბამებოდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, საკითხთან დაკავშირებით მიღებულ განკარგულებას.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

5. ირაკლი თავართქილაძემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-5 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც, საქართველოს ორგანული კანონისა „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ და „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის საფუძველზე, ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა, N11, მოქალაქეებისათვის: ქეთევან ჩხიტაძე (75 კვ.მ) და შმაგი ტალახაძე (75 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, უძრავი ქონების სიმბოლურ ფასად პრივატიზების თაობაზე საკითხის მომზადება განაპირობა, სამგორის რაიონის გამგეობის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილმა ინფორმაციამ და წერილობითმა რეკომენდაციამ შემდეგ ღონისძიებებთან დაკავშირებით:



- 2013 წელს, ქალაქ თბილისში, ვარკეთილის 3 მასივი 8 კვ. N1 კორპუსის ძირითადი გამაგრება-გამლიერების კონსტრუქციების მოწყობის შედეგად, ამავე კორპუსში არსებული საცხოვრებელი ბინები N21, N24 და N18-ში არ დასრულებულა შიდა სარემონტო სამუშაოები, რაც, სამგორის რაიონის განმარტებით, დადასტურებულ იქნა ა(ა)იპ - თბილისის მუნიციპალიტეტის ლაბორატორიის სათანადო დასკვნის საფუძველზე, ამასთან, აღნიშნულ სამშენებლო პროექტში არ იყო გათვალისწინებული არსებული ბინების შიდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო, საცხოვრებელი ბინების ვიზუალური დათვალიერების შედეგად დადგინა, რომ სხვადასხვა ფრაგმენტებში ფიქსირდება სხვადასხვა მიმართულების გამჭოლი ბზარები, იატაკზე მოწყობილი ფილები დაძრული იყო ქარხნული მდებარეობიდან, შესაბამისად, სამგორის რაიონისვე პოზიციით, 2013 წლიდან დღემდე ადგილობრივ გამგეობას უწევს სამი ოჯახის, მათ შორის, ქეთევანი ჩხიტაძისა და შმაგი ტალახაძის, ქირის საკომპენსაციო თანხებით დაკმაყოფილება და ადგილობრივი გამგეობის ბიუჯეტიდან ყოველთვიური საკომპენსაციო თანხა შეადგენს 1700 ლარს (სამ ოჯახზე) – ჯამში 2013 წლიდან დღემდე 204000 ლარამდე არის გამოყოფილი ქირის საკომპენსაციო თანხის დასაფარად, აღნიშნული ინფორმაციის მიწოდებასთან ერთად, მომხსენებელმა მიუთითა, რომ გამგეობის მიერ, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეთხოვა ქეთევან ჩხიტაძისა და შმაგი ტალახაძისათვის მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული, გადასაცემი საცხოვრებელი ფართების სარემონტო სამუშაოებისთვის თანხების გამოყოფა თითოეულზე - 21 450 ლარის ოდენობით (1 ერთი) კვადრატულ მეტრზე 286 ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა გაამახვილა, ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალურის ლაბორატორიის“ 2018 წლის 19 ნოემბრის N01/345 დასკვნაზე, რითაც შეფასებულ იქნა, ქ. თბილისში, სამგორის რაიონი, ვარკეთილის III მას. VIII კვ. კორპ. N1-ში მდებარე შენობის ტექნიკური მდგომარეობა, სადაც აღნიშნულ იქნა რომ შენობის ტექნიკური მდგომარეობა ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების II ხარისხს, ამავე დასკვნის თანახმად, აგურის, ოთხსართულიანი, ამჟამად ორსადარბაზოიანი საცხოვრებელი სახლი (ე.წ. „ხრუშჩოვკა“), მეორე და მესამე სადარბაზოების ზონას ორჯერ, 2010 და 2013 წლებში ჩატარდა გამაგრება-აღდგენის სამუშაოები და აღნიშნული კორპუსის გამაგრების პროცესში, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოში წარმოდგენილი განკარგულების პროექტით გათვალისწინებულ პირთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება დაზიანდა, რამაც შეუძლებელი გახადა მოქალაქეების: ქეთევან ჩხიტაძისა და შმაგი ტალახაძის მიერ, მათივე საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებით სარგებლობა, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის პოზიციით, ვინაიდან, აღნიშნულ პირთა საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება კორპუსის გამაგრებითი სამუშაოებისას დაზიანდა იმგვარად, რომ შეუძლებელია მისი საცხოვრებლად გამოყენება, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, ლევან მაჭავარიანის ქუჩა, N11, მოქალაქეებისათვის: ქეთევან ჩხიტაძე (75 კვ.მ) და შმაგი ტალახაძე (75 კვ.მ) პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის თბილისის საკრებულოსთან შეთანხმება, შემდეგი საპრივატიზებო პირობებით:

- ხელშეკრულებით, სააგენტო საკუთრებაში გადასცემს ქონების შემძენს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებულ ქონებას, ხოლო, აღნიშნულის სანაცვლოდ, ქონების შემძენი

საკუთრებაში გადასცემს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, მის საკუთრებაში არსებულ, ავარიული მდგომარეობის მქონე ფართს;

- სააგენტო ქონების შემძენს გადაუხდის გადაცემული უძრავი ქონების რემონტისთვის 1 კვ.მ.-ზე 286 ლარს, ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე, განსაზღვრული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ 3 (სამი) თვის ვადაში, უძრავი ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით;

- ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს საკუთრებაში უსასყიდლოდ, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში, გადაეცეს არაუგვიანეს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მიერ გადასაცემ ფართზე ქონების შემძენის საკუთრების უფლებასთან დაკავშირებული მიღებული ვალდებულების რეგისტრაციის დღისა;

- ქონების შემძენმა ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ფაქტობრივად უნდა გამოათავისუფლოს და ფაქტობრივად გადასცეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს, ამავე ხელშეკრულების გაფორმებიდან დაუყოვნებლივ;

- ქონების შემძენს, ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება გადაეცემა ე.წ. „თეთრი კარკასის“ მდგომარეობით;

- ქონების შემძენი აცხადებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონება ხელშეკრულების დადების მომენტისთვის არის მისი საკუთრება. უძრავი ქონება არ არის იპოთეკით დატვირთული, არ არის ყადაღადადებული, არ არის ვალდებულებით დატვირთული, რაც დასტურდება სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოდან ამონაწერით. ასევე, არ ირიცხება არანაირი კომუნალური გადასახადი და დავალიანება;

- ხელშეკრულებაზე ხელმოწერით, ქონების შემძენი განაცხადებს და დაადასტურებს, რომ ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების მისთვის ამ ხელშეკრულების საფუძველზე საკუთრებაში გადაცემით, იგი უარს აცხადებს ამ ქონებასთან ან/და ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონებიდან გამომდინარე სხვა ნებისმიერ შესაძლოა მოთხოვნაზე, მათ შორის, სხვა უძრავი ქონების ან/და სხვა მატერიალური სიკეთის მიღებასთან დაკავშირებით, ასევე, უარს აცხადებს აღნიშნულთან დაკავშირებით ნებისმიერ საჩივარზე, სარჩელსა ან/და პრეტენზიაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის, მისი ორგანოების, სახელმწიფოს ან/და ნებისმიერი მესამე პირის მიმართ.

აზრი გამოთქვას:



კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის სათაურის, პრეამბულას, პირველი და მე-2 პუნქტების მიმართ არსებული სამართლებრივი, სტილისტური, ასევე, ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

კომისიის თავმჯდომარემ ყურადღება გაამახვილა იმ მნიშვნელოვან გარემოებაზე, რომ მოცემული საკითხი წარმოადგენს სამართლებრივად არასტანდარტულ/განსაკუთრებულ შემთხვევას, ვინაიდან, სრულად არ ექცევა „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის, მათ, შორის მე-2 მუხლის პირველი პუნქტის რეგულირების ფარგლებში, რითაც, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოები, საკითხის შესწავლის, მიზანშეწონილობის დადგენისა და ჯერონად, გადაწყვეტილების მიღების გზით, ახორციელებენ, უძრავი ქონების არმქონე პირებისათვის, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, თვითნებურად დაკავებული, საცხოვრებელი ფართების, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარის ოდენობით პრივატიზებას.

კომისიის თავმჯდომარემ განაგრძო თხრობა და მიუთითა, რომ განკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხი, ასევე არ ექცევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესი“ რეგულირების არეალში, ვინაიდან, პროექტით განსაზღვრული პირების საკუთრებაში არსებული ავარიული საცხოვრებელი ფართები, არ წარმოადგენს აღნიშნული დადგენილებით დამტკიცებული წესის მიზნებისათვის მიჩნეულ ავარიულ სახლს, რადგან არ აქვს მინიჭებული - „მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლს ან მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციის შემცველი შენობა-ნაგებობას, მათ შორის ე.წ. ბარაკები, რომელთა ავარიულობის ხარისხი არის V, IV ან III კატეგორია, რაც უშუალო საფრთხეს უქმნის ადამიანის სიცოცხლეს ან/და ჯანმრთელობას და ექვემდებარება დემონტაჟს ან უკვე დემონტირებულია“¹.

კომისიის თავმჯდომარემ ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ა(ა)იპ - „თბილისის მუნიციპალურის ლაბორატორიის“ სათანადო დასკვნის საფუძველზე, შენობა, სადაც მდებარეობს პროექტით წარმოდგენილ პირთა საკუთრებაში არსებული საცხოვრებელი ფართები, ავარიულობის თვალსაზრისით შეესაბამება დაზიანების II ხარისხს, თუმცა, ფართების არსებული დაზიანების გათვალისწინებით, წარმოდგენილი პროექტის მიხედვით, „სააგენტო ქონების შემძენს გადაუხდის გადაცემული უძრავი ქონების რემონტისთვის 1 კვ.მ.-ზე 286 ლარს, ხელშეკრულების ხელმოწერის საფუძველზე, განსაზღვრული უძრავი ქონების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრების უფლების სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნულ

¹ „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის „ა“ პუნქტი.



სააგენტოში, უფლებრივად უნაკლო მდგომარეობაში რეგისტრაციის შემდგომ 3 (სამი) თვის ვადაში, უძრავი ქონების შემძენის მიერ წარმოდგენილ საბანკო ანგარიშზე თანხის გადარიცხვის გზით“, რაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის 3² მუხლის შესაბამისად, განსაზღვრულია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებულ, V, IV ან III ავარიულობის ხარისხის/კატეგორიის მქონე ავარიულ სახლში (როგორც უკვე აღინიშნა) განთავსებული საცხოვრებელი ფართის მესაკუთრეებისთვის, გადასაცემი უძრავი ქონების რემონტის ხარჯების ანაზღაურების მიზნით.

კომისიის თავმჯდომარემ, შემაჯამებლად აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მეშვეობით ხორციელდება, ადგილობრივი მოსახლეობის მიერ, მათი ინტერესების/საჭიროებების შესაბამისად, კანონით გარანტირებული, ადამიანის საყოველთაოდ აღიარებული უფლებებისა და თავისუფლებების დაცვითა და მათ საფუძველზე, იმგვარად, რომ მუნიციპალური ორგანოების მიერ მიღებული ყოველი გადაწყვეტილება პირნათლად ემსახურებოდეს აღნიშნული უფლებების დაცვასა და შესრულებას.

ლევან ჟორჟოლიანის მითითებით, ვინაიდან, მოცემული შემთხვევის დროს, გამოვლინდა, საცხოვრებელი კორპუსის გამაგრება-აღდგენითი სამუშაოების ჩატარების შედეგად, პროექტით წარმოდგენილი პირების საკუთრებაში არსებული ფართების დაზიანება, რამაც შეუძლებელი გახადა მესაკუთრეთა მიერ ფართებით სარგებლობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია წარმოდგენილი პროექტის მომზადება, რომლის სამართლებრივ საფუძვლებად განისაზღვრება:

✓ „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 12 აგვისტოს N21-85 დადგენილებით დამტკიცებული წესის, მათ, შორის მე-2 მუხლის პირველი პუნქტით, მუნიციპალიტეტის მიერ, მიზანშეწონილობის დადგენის შემდგომ, უკვე მრავალგზის გამოყენებული ღონისძიება:

„ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი/მოძრავი ქონების, წილებისა და აქციების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას და კონკურენტული შერჩევის საფუძველზე პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზებისას, საპრივატიზებო საფასურს განსაზღვრავს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობით, დამოუკიდებელი აუდიტორის (ექსპერტი) დასკვნის გათვალისწინებით, ასევე აუდიტორული (ექსპერტი) დასკვნის გარეშე – ნებისმიერი, მათ შორის სიმბოლური თანხის ოდენობით.“

✓ ამასთან, კომისიის თავმჯდომარის მითითებით, მიუხედავად იმისა, რომ პროექტით წარმოდგენილი საკითხი არ ექცევა „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების



შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებით დამტკიცებული წესის რეგულირების ფარგლებში, მხარეთა შეთანხმებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ავარიული საცხოვრებელი ფართების დათმობისა და ახალაშენებული ფართების საკუთრებაში მიღების პარალელურად, პროექტით წარმოდგენილ მესაკუთრეებს, მიყენებული ზიანის გათვალისწინებით, გადაეცეთ ასევე, ახალი საცხოვრებელი ფართების რემონტის ხარჯების ანაზღაურებლად 1 კვ.მ.-ზე 286 ლარი.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების/მოსაზრებების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

6. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-6 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე, ქალაქი თბილისი, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17, საერთო ჯამში - 404.51 კვ.მ უძრავი ქონების, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაცემული ინფორმაციით, 10-11 წლის მანძილზე მცხოვრები შემდეგი მოქალაქეებისათვის, პირდაპირი განკარგვის ფორმით, სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად პრივატიზების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- მირიან გოგებაშვილი - გადაცემა - 67.29 კვ.მ; ოთარ ფორჩხიძე - გადაცემა 67.85 კვ.მ; ირმა ქოზაშვილი - გადაცემა - 100.76 კვ.მ; ვახტანგ ფარტენაძე - გადაცემა - 67.85 კვ.მ; იასონ ნეფარიძე - გადაცემა - 100.76 კვ.მ;

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, რომ დაინტერესებულ პირების ცხოვრების ფაქტის ნამდვილობას ასევე ადასტურებს, სანოტარო წესით დამოწმებული მეზობლების თანხმობა, აგრეთვე, გამგეობის შემოწმების ოქმი, ამასთან გამგეობის ონფორმაციით, ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, დავით იოსელიანის მე-2 შესახვევი N17-ში მდებარე კორპუსი 2010 წლიდან თვითნებურად დაიკავეს მოქალაქეებმა, რომელიც იმ დროს იყო შავი კარკასის მდგომარეობაში და საცხოვრებლად ვარგის მდგომარეობაში მოიყვანეს მცხოვრებლებმა, აქვე დასძინა, რომ უძრავი ქონების გადაცემით დაინტერესებული პირების სახელებზე, სსიპ - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით, საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მასშტაბით რეგისტრირებული არ არის, ხოლო, ყოველივე აღნიშნულისა და ნაძალადევის რაიონის გამგეობის შუამდგომლობის საფუძველზე, საკითხი მოიწონა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ, შემდგომში - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენის მიზნით

აზრი გამოთქვას:



კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

7. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-7 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, იმ მიზეზის გამო, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სათანადო განკარგულებების საფუძველზე, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის „ცისარტყელა“, ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მ/რ, კორპუსი N28-ში არსებული, საერთო სარგებლობის ფართების, ჯამში - 26 საკადასტრო ერთეულის პრივატიზების შემდგომ, ხელშეკრულების გაფორმების დროს, ამხანაგობის თავმჯდომარის მიერ აღმოჩენილ იქნა, რომ ამხანაგობის კრების ოქმი, სრულყოფილად არ მოიცავდა დაინტერესებაში არსებულ, საერთო სარგებლობის უძრავ ქონებას, შესაბამისად, მომხსენებლის მითითებით, აღნიშნულმა ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობამ, განცხადებით მიმართა სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს და წარუდგინა 2023 წლის 26 სექტემბრის #5 კრების ოქმი, ტექნიკური ხარვეზების გასწორებისა და დარჩენილი საერთო სარგებლობის, - 5 (ხუთი) საკადასტრო ერთეული უძრავი ქონების: 19.73 კვ.მ, 16.64 კვ.მ, 13.98 კვ.მ, 12.01 კვ.მ. და 11.88 კვ.მ. ფართების ამხანაგობისთვის გადაცემის თხოვნით.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, მითითებულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, ცვლილება შევიდა, მთავრობის სათანადო განკარგულებაში და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილ იქნა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 25 აგვისტოს N368 განკარგულებაში ცვლილების შეტანის საკითხი, ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობისთვის ქალაქ თბილისში, გლდანის დასახლებაში, I მ/რ, კორპუსი N28-ში დარჩენილი საერთო სარგებლობის ფართების სიმბოლურ ფასად - 1 (ერთი) ლარად გადაცემის მიზნით.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმოდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.



მოისმინეს:

8. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-8 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ, „ქალაქ თბილისში, გიორგი ლეონიძის ქუჩა N4/ივანე მაჩაბლის ქუჩა N2-ში არსებული 43.17 კვ. მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.05.074.006.01.570) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 20 ოქტომბრის N492 განკარგულებაში ცვლილების შეტანას, აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში, საკადასტრო კოდის მითითების ნაწილში, ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს: იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმომდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

9. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-9 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - ლია ლორთქიფანიძის განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემას, ღია კაფის მოწყობის მიზნით, ამასთან, დასძინა, რომ საკითხი დადებითად შეაფასა, ქ. თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 12.10.23წ. დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქ. თბილისში, გორგასლის ქ. N1-ის მიმდებარედ არსებული 5 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 3 კვ.მ. მიწის ნაკვეთის ლია ლორთქიფანიძისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარდგენა, შემდეგი პირობებით:



- მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 900 (ცხრაასი) ლარის ოდენობით.
- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნის თაობაზე, რაც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნის გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

10. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-10 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - ნინო ლაბაძის, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N22/3-ში მდებარე ფართს, განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, მუნიციპალიტეტის ბალანსზე რიცხული უძრავი ქონების, მდებარე: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 24 კვ.მ. (თავდაპირველად მოთხოვნილ იქნა 29 კვ.მ.) მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემა, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მერიაში მოქმედი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (17.08.23წ.) გადაწყვეტილებით დადებითი შეფასება მიეცა 29 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, ფასადის სიბრტყიდან არაუმეტეს 2.5 მეტრის ათვისების რეკომენდაციით, ამასთან, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღის კაფეს განთავსების წინააღმდეგი არ არის, იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო, ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა.

მომხსენებელმა დაამატა, რომ დაინტერესებული პირის მიერ, სამი წლის ვადით, 24 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის გადაცემა, მოთხოვნილ იქნა განმეორებითი განცხადებით, რითაც სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს ეცნობა, რომ მის მიერ გათვალისწინებულ იქნა უფლებამოსილი ორგანოების მიერ მოთხოვნილი შენიშვნები და ღია კაფე განთავსდება ფასადიდან 2,5 მეტრში, ასევე გათვალისწინებული იქნება კომისიის მოთხოვნა ინვენტარის დადგმასთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (12.10.23წ.) დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 24 კვ. მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 5760 ლარის ოდენობით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 24 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ნინო ლაბაძისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა შემდეგი პირობების გათვალისწინებით:



- იჯარის მოქმედების ვადა - 3 (სამი) წელი;
- წლიური საიჯარო ქირის საფასური - 5760 (ხუთი ათას შვიდას სამოცი) ლარი.

გადაწყვეტის:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

11. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-11 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - ზუზრა ტატიშვილის, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი N47-ში მდებარე საკადასტრო ერთეულს, განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 11 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფის მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს (ოქმი N35; 14.09.2023.წ.) გადაწყვეტილების საფუძველზე დაინტერესებაში არსებული 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, ამასთან, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღია კაფის განთავსების წინააღმდეგი არ არის იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსდება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 2 640 (ორი ათას ექვსას ორმოცი) ლარით (აღნიშნულ დასკვნაში, მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი მითითების ნაწილში დაშვებული ტექნიკური ხარვეზის გასწორების მიზნით, სსიპ - ქონების მართვის სააგენტოში წარდგენილ იქნა სათანადო წერილი), ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია დაინტერესებაში არსებული, 11 კვ. მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით ზუზრა ტატიშვილისთვის, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთვის შესთანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:
- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
 - საერთო საიჯარო ქირის წლიური საფასური - 2 640 (ორი ათას ექვსას ორმოცი) ლარი.

გადაწყვეტის:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

12. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-12 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული სუბიექტის - შპს „ტელეგრაფის“, რომელიც საკუთრების უფლებით ფლობს დავით აღმაშენებლის გამზ. N44-ში მდებარე უძრავ ქონებას, განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირზე რეგისტრირებული 4061 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილმა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭომ, ქალაქგეგმარებითი თვალსაზრისით, მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს დადებითი შეფასება მისცა შემდეგი რეკომენდაციით: განთავსდეს მხოლოდ მაგიდები და სკამები ბაქსისა და ბარიერების გარეშე, ხოლო, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს, პოზიციით, საკითხზე გასცემს დადებით რეკომენდაციას, იმ შემთხვევაში, თუ შენარჩუნდება 5 მეტრის სიგანის მქონე საჯარო/საქვეითე სივრცე, ხოლო ობიექტის შემადგენელი ინვენტარი განთავსება 5 მეტრის სიგანის მქონე მონაკვეთის მიღმა, რაზეც დაინტერესებულმა კომპანიამ წერილობითი სახით, მზაობა გამოთქვა გაითვალისწინოს უფლებამოსილი ორგანოების რეკომენდაციები/მოთხოვნები.

როგორც მომხსენებელმა აღნიშნა, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ოქტომბრის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული 39 კვ.მ. მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 9360 (ცხრა ათას სამას სამოცი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზაშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 5 წელი;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 9360 (ცხრა ათას სამას სამოცი) ლარი.



გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

13. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-13 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - შპს „ონურის“, რომელიც სარგებლობის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, გამზირი დავით აღმაშენებელი, №130-132-ში არსებულ უძრავ ქონებას, განცხადების საფუძველზე, ქ. თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი №128-142-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 756 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, პირდაპირი განკარგვის წესით, აღნიშნული კომპანიისათვის, იჯარის ფორმით, ღია კაფეს მოწყობის მიზნით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენას, ამასთან, დაამატა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილებით, დადებითი შეფასება მიეცა, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის იჯარით გადაცემის საკითხს, ღია კაფეს განთავსების მიზნით, შემდეგი რეკომენდაციით - მოიხსნას არსებული გრძელი სკამები, რომლებიც ქმნიან ბარიერს, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღია კაფეს მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის წინააღმდეგი არ არის;

მომხსენებლის მითითებით, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 1440 ლარით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, 6 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით შპს „ონურისთვის“ გადაცემის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2025 წლის 1 აპრილამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 1440 (ათას ოთხას ორმოცი) ლარი.

აზრი გამოთქვას:



კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური და სტილისტური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

14. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-14 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - შპს „დი რომას“, რომელიც, სარგებლობის უფლებით ფლობს ქალაქ თბილისში, გამზირი დავით აღმაშენებელი, № 147-ში მდებარე უძრავ ქონებას, განცხადებას საფუძველზე, ქალაქ თბილისში, დავით აღმაშენებლის გამზირი № 147-ის მიმდებარედ არსებული 19 კვ. მ. ფართობის მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით, აღნიშნული კომპანიისათვის, ღია კაფეს მოწყობის მიზნით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა, ამასთან, დასძინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს წარმომადგენელთაგან ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში შექმნილი კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს 2023 წლის 24 აგვისტოს გადაწყვეტილებით, საკითხს მიეცა დადებითი შეფასება, შემდეგი რეკომენდაციით - დასაშვებია განთავსდეს მხოლოდ მაგიდა-სკამების ერთი რიგი, კედლის გასწვრივ, ასევე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, ღია კაფეს მოსაწყობად, მიწის ნაკვეთის იჯარის ფორმით განკარგვის წინააღმდეგი არ არის, ხოლო, სსიპ - სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 2023 წლის 12 ოქტომბრის ექსპერტიზის დასკვნით, მიწის ნაკვეთის მთლიანი წლიური საბაზრო საიჯარო ქირა 2023 წლის 11 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ განისაზღვრა 4560 ლარით, ხოლო, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- იჯარის მოქმედების ვადა - 2028 წლის 3 ოქტომბრამდე;
- საიჯარო ქირის წლიური საფასური - 4560 (ოთხი ათას ხუთას სამოცი) ლარი.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური და სტილისტური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:



იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

15. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-15 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - შპს „ღვინაძე და პარტნიორები“, რომელიც, საკუთრების უფლებით ფლობს ი. ჭავჭავაძის გამზ. N20-ში მდებარე უძრავ ქონებას, განცხადების საფუძველზე, აღნიშნული კომპანიისათვის, ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ, 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებლად წარმოდგენას, ამასთან, კომისიის წევრებს განუმარტა, რომ სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს საკითხი შესაძლებლად მიიჩნია, იმ პირობით, თუ დაცული იქნება - ქალაქ თბილისის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტის და 34-ე მუხლის მე-5 პუნქტის მოთხოვნები, ასევე, სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო, არ არის დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსების წინააღმდეგი, ტერიტორიაზე მხოლოდ მაგიდისა და სკამების განთავსების შემთხვევაში, ხოლო, დაინტერესებული კომპანიის დირექტორმა, მზაობა გამოთქვა, გაითვალისწინოს, უფლებამოსილი მუნიციპალური ორგანოების მოთხოვნები.

მომხსენებელმა დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 20.10.2023წ. სასაქონლო ექსპერტიზის დასკვნით, დაინტერესებაში არსებული ტერიტორიის, წლიური საბაზრო საიჯარო ქირის ოდენობა, 2023 წლის 18 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა 5 280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, ხოლო, ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მთავრობამ იმსჯელა და გადაწყვიტა, ქალაქ თბილისში, ი. ჭავჭავაძის გამზ. N20-ის მიმდებარედ არსებული 22 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ღვინაძე და პარტნიორებისთვის“ (ს/ნ: 205294545) იჯარის ფორმით, მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასურის - 5 280 (ხუთი ათას ორას ოთხმოცი) ლარის ოდენობით, 1 (ერთი) წლის ვადით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენა.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:



16. ირაკლი თავართქილაძემ კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-16 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, დაინტერესებული პირის - შპს „ფასანაური 2016“, რომელიც 2030 წლის 31 დეკემბრამდე, სარგებლობის უფლებით ფლობს თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ში არსებულ უძრავ ქონებას განცხადების საფუძველზე, ქალაქ თბილისში, 26 მაისის მოედანი N2-ის მიმდებარედ რეგისტრირებული 158 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის აღნიშნული კომპანიისთვის პირდაპირი განკარგვის წესით იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარმოდგენას, ამასთან, დასძინა, რომ დაინტერესებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ღია კაფეს განთავსების საკითხს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოსა და სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ, მიეცა დადებითი შეფასება, ქალაქ თბილისის საკრებულოს 24.05.14წ. N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, „ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ 35-ე მე-2 და მე-3 პუნქტების მოთხოვნების დაცვის პირობით, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს (19.10.23წ.) დასკვნით, დაინტერესებაში არსებული მიწის ნაკვეთის წლიური საბაზრო საიჯარო ქირა, 2023 წლის 16 ოქტომბრის მდგომარეობით, საორიენტაციოდ განისაზღვრა - 6000 (ექვსი ათასი) ლარის ოდენობით.

მომხსენებელმა დაამატა, რომ ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯელა და მიზანშეწონილად მიიჩნია, დაინტერესებაში არსებული 25 კვ.მ. მიწის ნაკვეთის შპს „ფასანაური 2016“- ისთვის იჯარის ფორმით, სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესატანხმებლად წარდგენა, შემდეგი პირობების გათვალისწინებით:

- მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 6000 (ექვსი ათასი) ლარი;
- იჯარის მოქმედების ვადა - 5 (ხუთი) წელი.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

17. ნინო ბაგაშვილმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-17 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც ითვალისწინებს, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებით დამტკიცებული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და



განაშენიანების რეგულირების წესებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ხელშეწყობის მიზნით, დადგენილი ხელშეწყობი ღონისძიებების საფუძველზე, მისამართზე: ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთთან (ფართობი 957 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში წარდგენილი 2023 წლის 5 ოქტომბრის განცხადებებით ქალაქ თბილისში, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთის მესაკუთრეებმა N01.11.13.007.124 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, რომელზეც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 (სზ-6), მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.2), გამოხატეს მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე. მომხსენებელმა აქვე დასძინა, რომ მითითებული მიწის ნაკვეთთან მიმართებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 29 მაისის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით.

მომხსენებელმა ასევე გააცნო კომისიის წევრებს დაინტერესებული პირის თხოვნა - „ხელშეწყობი ღონისძიების სახით, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.2-მდე, ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები“, აქვე დასძინა, რომ სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 12 ივლისის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 537 240 ლარს.

ნინო ბაგაშვილმა აღნიშნა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ღონისძიების, მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ, მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სათანადო საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, აქვე შემაჯამებლად განმარტა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მოიწონა და მიზანშეწონილად მიიჩნია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, მისამართზე



- ქალაქი თბილისი, მუხიანის IVა მ/რ, კოპრუსი 8-ისა და კოპრუსი N9-ის მიმდებარედ მიმართებით, შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენა:

▪ მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის გადამეტება $k-2=2.5$ დან $k-2=3.2$ მდე;

▪ არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;

▪ დაინტერესებულმა პირმა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 150,427.20 (ას ორმოცდაათი ათას ოთხას ოცდაშვიდი და ოცი მესხედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს სათანადო სახაზინო კოდეზ, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა, ხოლო, სათანადო განკარგულებებით განსაზღვრული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვს:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

18. ნინო ბაგაშვილმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-18 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც მსგავსად, წინამდებარე დღის წესრიგით განსაზღვრული მე-17 საკითხის სამართლებრივი საფუძვლებისა, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 1515 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებას, ამასთან დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მიმდინარე წელს წარდგენილი განცხადებებით, ქალაქ თბილისში, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ N01.12.08.010.029 საკადასტრო ერთეულზე განაშენიანების ინტენსივობის



კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების საწევლოდ (კ-2=3.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, რომ ზემომითითებულ საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა (სზ), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2022 წლის 25 ნოემბრის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის საცხოვრებელი ზონა 6-ის (სზ-6) პარამეტრებით და დაინტერესებული პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 26 სექტემბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 026 712 ლარს.

მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის პოზიცია და განმარტა, რომ კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლება არის მუნიციპალიტეტისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ამოცანა, შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის საწევლოდ, ზემოაღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა და ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს შესაბამისი პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ამდენად, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესთანხმებლად წარმოდგენილია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის საწევლოდ, ქალაქი თბილისი, ერწოს ქუჩა N14-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 369,616.32 (სამას სამოცდაცხრა ათას ექვსას თექვსმეტი და ოცდათორმეტი მეასედი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს სათანადო საბაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ



დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;

- დაინტერესებულმა პირმა მშენებლობის ნებართვის აღებამდე წარმოადგინოს სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მომზადებული დასკვნა, რომლითაც დადასტურებულ იქნება, რომ გამოყენებული ხელშემწყობი ღონისძიებები არ იქონიებს გავლენას არსებული შენობა-ნაგებობის მდგრადობასა და უსაფრთხოებაზე;
- პროექტის მიხედვით აღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

19. ნინო ბაგაშვილმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-19 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც მსგავსად, წინამდებარე დღის წესრიგით განსაზღვრული მე-17 და მე-18 საკითხების სამართლებრივი საფუძვლებისა, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთთან (ფართობი - 900 კვ.მ) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში მ/წელს წარდგენილი განცხადებებით, ქალაქ თბილისში, დასახლება ვაზისუბანი, II მიკრო/რაიონში (თბოსადგური N45) მდებარე მიწის ნაკვეთის მესაკუთრემ N01.17.07.017.046 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=2.4), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, საპროექტო მიწის ნაკვეთზე ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 3 (სზ-3), ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 14 ივნისის ბრძანებით დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლისთვის და დაინტერესებული



პირის მიერ, ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.4-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ამასთან, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 12 ოქტომბრის მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 385 798 ლარს.

მომხსენებლის განმარტებით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ღონისძიების, მუნიციპალიტეტის მნიშვნელობის გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ მიზანშეწონილად მიიჩნია, მუნიციპალიტეტის სათანადო საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთზე მოხდეს ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ამდენად, მომხსენებელმა შემაჯამებლად არნიშნა, რომ ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიხედვით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთთან მიმართებით, შემდეგი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრის თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=1.5-დან კ-2=2.4-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 231,478.80 (ორას ოცდათერთმეტი ათას ოთხას სამოცდათვრამეტი და ოთხმოცი მეთხუთმეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს სათანადო სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშემწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- ზემოაღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს წინამდებარე განკარგულებით გათვალისწინებული ხელშემწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.



გადაწყვეტის:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

მოისმინეს:

20. ნინო ბაგაშვილმა კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს გააცნო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით, რიგით მე-20 საკითხად განსაზღვრული განკარგულების პროექტი, რაც მსგავსად, წინამდებარე დღის წესრიგით განსაზღვრული მე-17 - მე-19 საკითხების სამართლებრივი საფუძვლებისა, ითვალისწინებს, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ვლადიმერ ნანეიშვილის ქუჩა N21-ში მდებარე მიწის ნაკვეთთან მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების თაობაზე საკითხის ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებას, ამასთან, დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოში, მ/წელს წარდგენილი განცხადებებით, დაინტერესებულმა პირმა N01.11.12.006.279 საკადასტრო ერთეულზე, მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტების სანაცვლოდ (კ-2=3.8), გამოხატა მზაობა მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდაზე.

როგორც მომხსენებელმა განმარტა, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის გადაწყვეტილებით, საპროექტო მიწის ნაკვეთზე დადგენილია მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები ორ ბლოკად (A ბლოკი, B ბლოკი), ამასთან, განმცხადებლის მიერ, „B“ ბლოკისათვის ხელშემწყობი ღონისძიების სახით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) ზღვრული მაჩვენებლის გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.8-მდე. ასევე დამატებულ მოცულობაზე, სიმაღლის ნაწილში კორექტირებული პროექტის შეთანხმებისას არ იქნას გათვალისწინებული კანონით განსაზღვრული რეგულაციები, ხოლო, სსიპ - ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ექსპერტიზის დასკვნით, საპროექტო მიწის ნაკვეთის საბაზრო ღირებულება 2023 წლის 29 აგვისტოს მდგომარეობით საორიენტაციოდ შეადგენს 1 613 075 ლარს.

მომხსენებელმა კვლავ გაუსვა ხაზი, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაცია/ჩანაცვლების ღონისძიების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტისათვის მნიშვნელობას და დასძინა, რომ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობამ იმსჯლა და მიზანშეწონილად მიიჩნია მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ანგარიშზე შესაბამისი ფასის ჩარიცხვის სანაცვლოდ, საპროექტო მიწის ნაკვეთზე



მოხდეს ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრა, ხოლო, ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის ოდენობა განისაზღვროს სათანადო პრინციპით და საანგარიშო ფორმულით, ამდენად, მომხსენებლოსვე მითითებით, წარმოდგენილი პროექტით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შესათანხმებლად წარმოდგენილია, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა - ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, შესაბამისი ფასის გადახდის სანაცვლოდ, N01.11.12.006.279 საკადასტრო ერთეულთან მიმართებით, შემდეგი ხელშეწყობი ღონისძიებების განსაზღვრის საკითხი:

- მიწის ნაკვეთის განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის (კ-2) გადამეტება კ-2=2.5-დან კ-2=3.8-მდე;
- არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა მოხდეს გადამეტებულ ფართზე სიმაღლის განმსაზღვრელი რეგულაციების გათვალისწინების გარეშე;
- დაინტერესებულმა პირმა ხელშეწყობი ღონისძიებების გამოყენებისათვის მაკომპენსირებელი ღონისძიების სახით, კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებულ ავარიულ შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით შესაბამისი ფასის - 838,799.00 (რვაას ოცდათვრამეტი ათას შვიდას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარის გადარიცხვა განახორციელოს სათანადო სახაზინო კოდზე, მშენებლობის ნებართვის გაცემამდე, მაგრამ არაუგვიანეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის მიერ დამტკიცებული ხელშეწყობი ღონისძიებების ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოსთან შეთანხმებიდან 6 თვის ვადისა;
- აღნიშნული ვალდებულებების დადგენილ ვადაში შეუსრულებლობა გამოიწვევს განსაზღვრული ხელშეწყობი ღონისძიებების გაუქმებას.

აზრი გამოთქვას:

კომისიის თავმჯდომარემ ისაუბრა, პროექტის მიმართ არსებული სამართლებრივი და ტექნიკური ხასიათის შენიშვნების თაობაზე, რომლებიც გაზიარებულ იქნა საკითხის წარმომდგენის მიერ.

გადაწყვიტეს:

წარმოდგენილი განკარგულების პროექტთან დაკავშირებით, ხმის მიცემისაგან თავი შეიკავა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დამოუკიდებელმა დეპუტატმა - დავით ფარცვანიამ, ხოლო, იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის დანარჩენმა წევრებმა ერთხმად დაუჭირეს მხარი წარმოდგენილ პროექტს და მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით, მომზადებულად მიიჩნიეს საკრებულოს უახლოეს სხდომაზე განსახილველად.

✓ იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარემ, კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებს მიმართა, სხდომის დღის წესრიგის, რიგით 21-ე საკითხად

განსაზღვრული - „კულტურული მემკვიდრეობის დამცავ ზონაში არსებული ავარიული შენობა-ნაგებობების რეაბილიტაციის/ჩანაცვლების მიზნით, მისამართზე - ქალაქი თბილისი, ე. ბეჟანიშვილის ქუჩა N13- მდებარე მიწის ნაკვეთთან (საკადასტრო კოდი: N01.12.12.005.015, ფართობი - 896 კვ.მ.) მიმართებით, გასატარებელი ღონისძიებების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვის გადადების ინიციატივით, აღნიშნული განაკარგულების პროექტით წარმოდგენილი საკითხის უკეთ შესწავლის მიზნით.

გადაწყვეტეს:

იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის წევრებმა ერთხმად გაიზიარეს კომისიის თავმჯდომარის ინიციატივა და ერთხმად დაუჭირეს მხარი სხდომის დღის წესრიგით, რიგით 21-ე საკითხის გადადების საკითხს, საკრებულოს მომდევნო სხდომაზე განხილვის პერსპექტივით.


იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის განხილვის შემდეგ, სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომის თავმჯდომარე



ლევან ჰორჯოლიანი

სხდომის მდივანი



თამთა კაკოიშვილი